



## ბრძანება

N 422  
23/05/2019

### ნათელა აბრამიძისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) არსებული ინფორმაციით ნათელა აბრამიძე (შემდგომ - აუდიტორი) რეგისტრირებულია აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-A-732013, ფაქტობრივი მისამართი: ქუთაისი, ჟ.შარტავას N1).

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორის შესახებ ასახული უნდა იყოს ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია.

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ - წესი) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მე-10 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია აუდიტორული და პროფესიული საქმიანობიდან (ბოლო 3 დასრულებული კალენდარული წლის განმავლობაში) მიღებული შემოსავლების თაობაზე, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „აუდიტორული საქმიანობის ინდივიდუალურად განხორციელების შემთხვევაში, არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან წინა წელს მიღებული შემოსავლების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წლის განმავლობაში არ მიუღია შემოსავალი შესაბამის გრაფაში ასახოს ციფრი „0“.“

კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „სამსახური ვალდებულია ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის ერთდროულად ან/და ცალ-ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

- ა.ა) წერილობითი გაფრთხილება;
- ა.ბ) საჯარო გაფრთხილება (რეესტრში ასახვით);
- ა.გ) ფულადი ჯარიმა;

ა.დ) აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმება;

ა.ე) აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების პარტნიორისთვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა;”.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორი ვალდებული იყო 2018 წელს მიღებული შემოსავლების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია სამსახურისთვის წარედგინა 2019 წლის 1 აპრილამდე, თუმცა, აუდიტორის მიერ მოცემული ინფორმაცია დღემდე არ არის წარდგენილი.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნათელა აბრამიძე დაჯარიმდეს 400 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

